საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-19/339
30/05/2019

339-შ-19-1-4-201905301337

“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და ააიპ „მედიააკადემიის“ 2019 წლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის 741/21 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2019 წლის 30 მაისის სხდომაზე მოსმენილი იქნა კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ნათია დევდარიანის ინფორმაცია 2019 წლის ბიუჯეტის ზოგიერთ მუხლში ცვლილების საჭიროების შესახებ. კომისიას დღეის მდგომარეობით 1-ლი კვარტლის გეგმასთან შედარებით გააჩნია მატება რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის შემოსავლებში 61,000.00 ლარით, ასევე საპროგნოზოდ, წლის განმავლობაში, გეგმასთან შედარებით გაიზრდება საპროცენტო შემოსავლები 87,000.00 ლარით. სულ ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი საპროგნოზოდ გაიზრდება 148,000.00 ლარით.

2019 წლის ბიუჯეტის 1-ლი კვარტლის ფაქტიური შედეგებიდან გამომდინარე მიღებულია ეკონომია სულ თანხით 131,000.00 ლარი, საიდანაც საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯების ეკონომიაა 4,999.50 ლარი, მედიაწიგნიერების კომისიის ნაწილის ხარჯის -- 65,000.50 ლარი, შრომის ანაზღაურების ხარჯის --

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

41,000.00 ლარი და სახ. ბიუჯეტის და საპენსიო სისტემის გადასახადების ხარჯის -- 20,000.00 ლარი.

შემოსავლების საპროგნოზო ზრდის თანხა 148,000.00 ლარი და ბიუჯეტის ეკონომია 131,000.00 ლარი, სულ თანხით 279,000.00 ლარი, კომისიის საქმიანობიდან გამომდინარე, მისი ფუნქციების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია გადატანილი იქნეს ბიუჯეტის საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯების მუხლში.

გარდა ამისა, ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ (შემდგომში „აკადემია“) ფინანსური ანგარიშგების გამარტივების მიზნით ცვლილებებია განსახორციელებელი აკადემიის ბიუჯეტის სტრუქტურაში, ასევე ჯამური ბიუჯეტის და მიზნობრივი დაფინანსების თანხის შეუცვლელად, აკადემიის ფუნქციების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, ძირითადი საშუალებების მუხლზე დასამატებელია 89,179.96 ლარი, ხოლო შრომის ანაზღაურების მუხლზე 129,417.06 ლარი და აკადემიის ბიუჯეტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

დასახელება	ბიუჯეტი 2019
ძირითადი საშუალებები	**587,585.66**
შრომის ანაზღაურება	**437,865.06**
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	**1,444,300.79**
სულ	**2,469,751.50**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 და მე-12 მუხლების შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ 2019 წლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის 741/21 გადაწყვეტილების 1-ლ პუნქტში და დამტკიცდეს კომისიის 2019 წლის ბიუჯეტი შემდეგი სახით:

დასახელება	2019 წლის ბიუჯეტი ლარში
სულ შემოსავლები	**13,688,000.00**
რეგულირების საფასური	**8,155,000.00**

რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური	**3,224,196.40**
საპროცენტო შემოსავლები	**157,000.00**
სარეზერვო ფონდი	**2,151,803.60**
სულ ხარჯები	**13,688,000.00**
ძირითადი საშუალებები (აპარატურა, ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა)	**323,932.50**
საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები	**26,064.00**
კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის და სხვა კომუნალური მომსახურებების ხარჯები	**184,059.00**
ავტომანქანის საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები	**201,000.00**
მივლინების ხარჯები	**304,650.00**
საბანკო მომსახურეობის ხარჯი	**3,000.00**
კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა ხარჯები	**254,334.00**
სხვადასხვა საწევრო გადასახადები	**51,591.96**
საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები	**849,897.35**
სხვა საერთო ხარჯები	**877,815.67**
წარმომადგენლობითი ხარჯები	**35,000.00**
მიმდინარე რემონტის ხარჯები	**338,084.00**
შრომის ანაზღაურება	**4,502,499.60**
სახ. ბიუჯეტის და საპენსიო სისტემის გადასახადები	**1,229,462.39**
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამხველის ხარჯები	**29,593.60**
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურება, სახ. ბიუჯეტის და საპენსიო სისტემის ხარჯები	**246,186.90**
შრომის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების ფონდი	**1,132,633.13**
მედიაწიგნიერების ხარჯები	**3,098,195.90**

2. შევიდეს ცვლილება „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ 2019 წლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის 741/21 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში და დამტკიცდეს ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ 2019 წლის ბიუჯეტი შემდეგი სახით:

დასახელება	ბიუჯეტი 2019
ძირითადი საშუალებები	**587,585.66**
შრომის ანაზღაურება	**437,865.06**
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	**1,444,300.79**
სულ	**2,469,751.50**

3. დაევალოს ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ აღმასრულებელ დირექტორს მიზნობრივი დაფინანსების მისაღებად კომისიაში ინვოისების წარმოდგენა;
4. დაევალოს ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ აღმასრულებელ დირექტორს კომისიაში ყოველთვიური ფაქტიური ხარჯების ფინანსური ანგარიშების წარდგენა, ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლებთან ერთად, ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვის ჩათვლით;
5. დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშების კომისიისათვის წარმოდგენა ყოველი კვარტლის დასრულების მომდევნო თვეს;
6. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის სხდომაზე გამოცხადებისთანავე;
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, #6) ერთი თვის ვადაში;
8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი).

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე

კომისიის წევრი